

## იძულებით გადაადგილებულ პირთა კომუნალური და ჯანმრთელობის მომსახურების შესახებ კვლევა

იძულებით გადაადგილებული პოპულცია დაზარალებული 2008 წლის  
საომარი მოქმედებების შედეგად განსახლებულია შიდა ქართლის 11  
კოლექტიურ ცენტრსა და წეროვანის (მცხეთა-მთიანეთი) დასახლების  
კოლექტიურ ცენტრში.

კვლევის მეთოდოლოგია მოიცავდა რაოდენობრივი კვლევის ფრაგმენტს,  
რომლის ინსტრუმენტი იყო კითხვარი – **მოქალაქეთა ანგარიშგების ბარათი,**  
ასევე ხარისხობრივი კვლევის ფრაგმენტს – ინფორმაციის შეგროვება  
ჩაღრმავებული ინტერვიუს და ფოკუს-ჯუფის საშუალებით.

რაოდენობრივი კვლევის ფრაგმენტისათვის მნიშვნელოვანია საკვლევი ჯგუფის  
შერჩევის გეგმა:

- **საკვლევი ჯგუფის სახეობა** – იძულებით გადაადგილებული პოპულაცია,
- **შერჩევის ერთეული** – მთლიანი შინამეურნეობა ანუ ოჯახი (ადამიანთა  
ჯგუფი), რომელიც ცხოვრობს და იკვებება ერთად – საერთო ბიუჯეტით).

შერჩევის ერთეული ძალიან მნიშვნელოვანია, ვინაიდან ჩვენი მიზანი იყო  
კომუნალური და სამედიცინო სერვისების შეფასება დევნილთა კონტიგენტში,  
ამიტომ ერთეულად მივიჩნიეთ ოჯახი და არა ცალკეული პირი.

ოჯახის შესახებ ინფორმაციის მიმწოდებელ რესპონდენტად მოიაზრებოდა  
ნებისმიერი მოზრდილი წევრი, რომელიც ფლობდა ამ სახის ინფორმაციას  
(ხშირად ინტერვიუერებს კოლექტიური გამოკითხვა უხდებოდათ ოჯახის სხვა  
წევრების აქტიურობის გამო ).

- **საკვლევი ჯგუფის ჩარჩო** – ხელმისაწვდომი პოპულაციის ფიზიკური  
აღნეუსხვა. ჩვენ შემთხვევაში ოფიციალური სარეგისტრაციო სიები,  
მოწოდებული ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს რეგიონალურ  
წარმომადგენელთა მიერ, აბსოლუტურად სრულფასოვანი საკონტაქტო  
ინფორმაცია.
- **უარის თქმის შემთხვევები** – გამოსაკვლევ პირთა 10%-ის შემთხვევაში  
(უარი, ცარიელი სახლი და ა.შ.). კვლევა ითვალისწინებდა შერჩევის  
დამატებითი ერთეულების ჩანაცვლებას – ამის საჭიროება მაღალი  
რესპონსის გამო არ იყო.

### საკვლევი ნიმუშის ზომა:

მოქალაქეთა ანგარიშგების ბარათის გამოყენების შემთხვევაში  
რესპონდენტების 15%-ის მოცვა შემთხვევთი შერჩევის პროცედურით არის ამ  
ინფორმაციის ექსტრაპოლირების საფუძველი.

წეროვანის დასახლება 1863 ოჯახი

პარალთის დასახლება 480 ოჯახი

სულ 2343 ოჯახი.

შერჩევის ნიმუში შეადგენდა **360 ოჯახს** (ძირითადად 3 და 4 სულიანი  
ოჯახების გათვალისწინებით, 1500-მდე პირის შესახებ არის ინფორმაციის  
მომცველი რაოდენობრივი ფრაგმენტი).

## შერჩევის მეთოდი

შერჩევის შემთხვევითი მეთოდი, უზრუნველყოფს შერჩევის ყველა ერთეულის შერჩევაში მოხვედრის თანაბარ შანსს.

**მარტივი შემთხვევითი შერჩევა, შემთხვევითი რიცხვების გენერირებით,** იქნა გამოყენებული 360 ოჯახის შესარჩევად. შერჩევის ჩარჩო – სიები არ იყო შედგენილი არანაირი პრინციპით – სანდობისთვის აუცილებელი პირობა.

ოჯახების შერჩევა იყო სელექციის მეორე ეტაპი, შიდა ქართლში კოლექტიურ ცენტრებს შორის 1-ის ამორჩევა აღბათური პრინციპით.

კარალეთისა და წროვანის ტერიტორიაზე ჩასახლებულ იძულებით გადაადგილებულ პირთა კვლევა ტარდებოდა საქართველოს პიპერტენზის შემსწავლელი საზოგადოების მიერ სპეციალურად შემუშავებული კითხვარის საშუალებით. კვლევის მიზანს წარმოადგენდა იძულებით გადაადგილებულ პირების კომუნალური და ჯანმრთელობის დაცვის მომსახურეობის შესახებ ინფორმაციის შეგროვება, ზემოაღნიშნულ სფეროთა სერვისის გაუმჯობესების მიზნით.

**კვლევში შერჩეული 360 ოჯახიდან 2-ის ვერიფიცირება ვერ მოხერხდა – დარიელი კოტეჯი. (0,5%)**

კვლევაში მონაწილეობა მიიღო 358 რესპონდენტმა, რომელთაგან 0,5%-მა (2/358) უარი განაცხადა ინტერვიუს მიცემაზე.

356 რესპონდენტიდან 67,7% (241/356) მდედრობითი სქესის იყო, ხოლო 32,3% (115/356) კი – მამრობითის.

რაც შეეხება შფოთვისა და დეპრესიის სკრინინგს HADS-ით (შფოთვისა და დეპრესიის ჰოსპიტალური შეკალა) 458 კითხვარია შევსებული იმ ოჯახებში, სადაც ივსებოდა მოქალაქეთა ანგარიშგები ბარათი (შერჩევის თანახმად).

### რესპონდენტთა ასაკობრივი განაწილება:

18 წლიდან – 89 წლის ჩათვლით,

საშუალო ასაკი – 45,

მედიანა – 44,5;


მოდა – 40.

### ასაკობრივი ჯგუფები:


1. 0-29 წელი – 72 (20,2%) [მათ შორის: მდედრობითი სქესი – 53/72 (73,6%); მამრობითი სქესი – 19/72 (26,4%)];

2. 30-64 წელი – 238 (66,8%) [მათ შორის: მდედრობითი სქესი – 155/238 (65,1%); მამრობითი სქესი – 83/238 (34,9%)];

3. 65 და მეტი – 46 (13%) [მათ შორის: მდედრობითი სქესი – 33/46 (71,7%); მამრობითი სქესი – 13/46 (28,3%)];



რესპოდენტთა განაწილება ეროვნების მიხედვით შემდეგია: ქართველი – 335/356 (94,1%) [მათ შორის: მდედრობითი სქესი – 225/335 (67,1%), მამრობითი სქესი – 110/335 (32,9%)]; სომები – 18/356 (5%) [მათ შორის: მდედრობითი სქესი – 14/18 (77,7%), მამრობითი სქესი – 4/18 (22,3%)]; აზერბაიჯანელი – 2/356 (0,6%) [მათ შორის: მდედრობითი და მამარობითი სქესი – 50% თითოეული]; სხვა – მდედრობითი სქესის 1/356 (0,3%).



რესპოდენტთა 53,6%-ის (191/356) [მათ შორის მდედრობითი სქესი – 145/191 (80%), მამარობითი – 46/191 (20%)] ამჟამონდელ საცხოვრებელ ადგილს წარმოადგენს კარალეთი, ხოლო 46,4% -სას (165/356) [მათ შორის მდედრობითი სქესი – 96/165 (58%), მამარობითი – 69/165 (42%)] კი – წეროვანი.


### **განათლების დონე:**

1. დაწყებითი ან არასრული საშუალო – 16/356 (4,5%) [მათ შორის მდედრობითი სქესი – 10/16 (62,5%); მამრობითი სქესი 6/16 (37,5%)];
2. საშუალო – 172/356 (48,3%) [მათ შორის მდედრობითი სქესი – 119/172 (69,2%); მამრობითი სქესი 53/172 (30,8%)];
3. საშუალო ტექნიკური/სპეციალური – 83/356 (23,3%) [მათ შორის მდედრობითი სქესი – 61/83 (73,5%); მამრობითი სქესი 22/83 (26,5%)];
4. დაუმთავრებელი უმაღლესი – 11/356 (3,1%) [მათ შორის მდედრობითი სქესი – 9/11 (81,8%); მამრობითი სქესი 2/11 (18,2%)];
5. უმაღლესი – 73/356 (20,5%) [მათ შორის მდედრობითი სქესი – 42/73 (57,5%); მამრობითი სქესი 31/73 (42,5%)];
6. უმაღლესზე მეტი – 1/356 (0,2%) [მამრობითი სქესი]


განათლების დონე კარალეთისა და წეროვანის რესპოდენტთა შორის შემდეგია:

განათლების დონე	კარალეთი		წეროვანი		სულ
	მდ.	მამრ.	მდ.	მამრ.	
დაწყებითი	3	4	7	2	16 <b>(4.5%)</b>
საშუალო	69	17	50	36	172 <b>(48.3%)</b>
საშ. ტექნიკ.	45	11	16	11	83 <b>(23.3%)</b>
დაუმთ. უმაღლესი	2	—	7	2	11 <b>(3.1%)</b>
უმაღლესი	26	13	16	18	73 <b>(20.5%)</b>
უმაღლესზე მეტი	—	1	—	—	1 <b>(0.2%)</b>
<b>სულ</b>	<b>145</b>	<b>46</b>	<b>96</b>	<b>69</b>	<b>356</b>

რესპონდენტთა განაწილება განათლების დონის მიხედვით %



## რესპონდენტთა განაწილება განათლების დონის და სქესის მიხედვით %




გამოკითხული რესპონდენტებს (356) შორის შედარებით მაღალია ქალების განათლების დონე (როგორც დაწყებითი ასე უმაღლესი).

### სოციალური სტატუსი:

სოციალური სტატუსი	მდედრობითი	მამარობითი	სულ	%
დასაქმებული	25	21	46	13%
შრომისუუნარო	4	4	8	2,2%
დრ. უმუშევარი	68	69	137	38,5%
უმუშევარი	6	2	8	2,2%
პენსიონერი	46	17	63	17,7%
დიასახლისი	84	—	—	23,6%
სტუდენტი	8	2	10	2,8%
<b>სულ</b>	<b>241</b>	<b>115</b>	<b>356</b>	


**რესპონდენტთა გადანაწილება სოციალური სტატუსის მიხედვით %**



**რესპონდენტთა გადანაწილება სოციალური სტატუსის მიხედვით კარალეთსა და წეროვანში**

სოციალური სტატუსი	კარალეთი	%	წეროვანი	%
დასაქმებული	19	9.9	27	16.3
შრომისუუნარო	6	3.1	2	1.2
დრ. უმუშევარი	57	29.8	80	48.7
უმუშევარი	7	3.6	1	0.6
პენსიონერი	40	20.9	23	13.9
დიასახლისი	58	30.3	26	15.7
სტუდენტი	4	2.4	6	3.6
<b>სულ</b>	<b>191</b>		<b>165</b>	


**რესპოლენტთა გადანაწილება სოციალური სტატუსის მიხედვით კარალეთსა და წეროვანში %**



**რესპოლენტთა გადანაწილება შემოსავლის ტიპის მიხედვით**

შემოსავლი	მდედრობითი	%	მამართობითი	%	სულ	%
100 ლარამდე	143	68.7	65	31.3	208	58.4
101-300 ლარამდე	89	67.9	42	32.1	131	36.8
301-500 ლარამდე	6	50	6	50	12	3.4
>500 ლარი	2	50	2	50	4	1.1
არ მაქვს პასუხი	1	100	—	—	1	0.3
<b>სულ</b>	<b>241</b>		<b>115</b>		<b>356</b>	


### რესპონდენტთა განაწილება შემოსავლის ტიპის მიხედვით %



კარალეთისა და წეროვანის რესპონდენტთა გადანაწილება შემოსავლის ტიპის მიხედვით

შემოსავალი	კარალეთი	%	წეროვანი	%	სულ	%
100 ლარამდე	105	55	103	62.4	208	58.4
101-300 ლარამდე	76	39.7	55	33.3	131	36.8
301-500 ლარამდე	6	3.1	6	3.6	12	3.4
>500 ლარი	3	1.5	1	0.7	4	1.1
არ მაქვს პასუხი	1	0.7	—	—	1	0.3
<b>სულ</b>	<b>191</b>		<b>165</b>		<b>356</b>	


**კარალეთისა და წეროვანის რესპონგენტთა გადანაწილება შემოსავლის ტიპის  
მიხედვით %**



რესპონგენტების განაწილება ოჯახებში ოჯახის წევრთა სულადობის  
მიხედვით შემდეგნაირაა:

სულადობა	კარალეთი	%	წეროვანი	%	სულ	%
1 სულიანი	3	1.6	—	—	3	0.9
2 სულიანი	24	12.5	22	13.3	46	13
3 სულიანი	64	33.5	36	21.8	100	28
4 სულიანი	71	37.2	62	37.5	133	37.3
5 სულიანი	18	9.4	31	18.8	49	13.7
6 სულიანი	8	4.2	12	7.3	20	5.6
7 სულიანი	3	1.6	2	1.3	5	1.5
<b>სულ</b>	<b>191</b>		<b>165</b>		<b>356</b>	

## რესპონდენტების განაწილება სულადობის მიხედვით %




რესპონდენტების განაწილება ოჯახებში ბავშვთა რაოდენობით მიხედვით შემდეგნაირია: რესპონდენტთა 50,5% (180/356) ბავშვიანი ოჯახია, ხოლო 49,5% (176/356) კი ბავშვების გარეშე. დასხლებული პუნქტების მიხედვით კი – კარალეთის რესპონდენტთა 56,5% (108/191) ბავშვიანი ოჯახია, ხოლო 43,5% (83/191) კი – ბავშვების გარეშე, ხოლო წეროვანისა კი – 43,7% (72/165) ბავშვიანი და 56,3% (93/165) კი – ბავშვების გარეშე შესაბამისად.

**ოჯახებში ბავშვთა რაოდენობა შემდეგნაერადაა განაწილებული:**


ბავშვთა რა-ბა	კარალეთი	%	წეროვანი	%	სულ	%
1 ბავშვიანი	46	42.5	21	29	67	37.2
2 ბავშვიანი	51	47.2	44	61	95	52.8
3 ბავშვიანი	9	8.5	7	10	16	8.9
4 ბავშვიანი	2	1.8	–	–	2	1.1
<b>სულ</b>	<b>108</b>		<b>72</b>		<b>180</b>	

### ოჯახებში ბავშვთა რაოდენობა კარალეთსა და წეროვანში %



რესპონდენტთა შორის ბავშვების საერთო რა-ბა არის 180 მათი განაწილება ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით კი შემდეგნაირია: 0-1 წლამდე ასაკის ბავშვები – 4,1% (7/180); 1-5 წლამდე ასაკის – 20,5% (37/180); 5-9 წლამდე ასაკის – 25% (45/180); 9-14 წლამდე ასაკის – 36% (65/180); და 14-16 წლის ასაკის კი – 14,4% (26).


### ბავშვების განაწილება ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით %



ბავშვების განაწილება ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით კარალეთსა და წეროვანში შემდგენაირია:

ბავშვთა ასაკობრივი ჯგუფი	კარალეთი	%	წეროვანი	%	სულ	%
0-1 წლამდე	4	3.9	3	4.2	7	4.1
1-5 წლამდე	25	23	12	16.7	37	20.5
5-9 წლამდე	28	26	17	23.6	45	25
9-14 წლამდე	34	31.4	31	43	65	36
14-16 წწ.	17	15.7	9	12.5	26	14.4
სულ	108		72		180	

ბავშვების განაწილება ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით კარალეთსა და წეროვანში %



**თვიური შემოსავალი და ხარჯები:**

შემოსავალი/ ხარჯის ტიპი	100ლ	%	101- 300ლ	%	300- 500ლ	%	>500	%	არ მაქვს პასუხი	%
საკვები	166	79.8	99	75.5	11	91.6	4	100	1	100
ტანსაცმელი	—		—		—		—	—	—	—
წამალი	34	16.2	29	22.1	1	8.4	—	—	—	—
სამედიც. მომს-ბა	1	0.5	1	0.8	—	—	—	—	—	—
საწვავი	1	0.5	—		—	—	—	—	—	—
პირ. პიგ. საშ-ბი	1	0.5	1	0.8	—	—	—	—	—	—
კომუნალური გადას-ბი	—	—	—		—	—	—	—	—	—
ტრანსპორტი	2	1	1	0.8	—	—	—	—	—	—
არ მაქვს პასუხი	1	0.5	—	—	—	—	—	—	—	—
განათლება	2	1	—	—	—	—	—	—	—	—
<b>სულ</b>	<b>208</b>		<b>131</b>		<b>12</b>		<b>4</b>		<b>1</b>	

საინტერესოა, რომ 300-500 ლარამდე (12) და > 500ლ. (4) შემოსავლიანი რესპოდენტებიდან, მიუხედავად მათი მცირე რაოდენობისა, შემოსავლის მეტ და მთლიანადაც ხარჯავენ მხოლოდ საკვებ პროდუქტებზე, მაშინ როცა 100 ლარამდე და 101-300 ლარამდე შემოსავლის მქონე რესპოდენტები (თუმცა ერთეულები) ანაწილებენ თანხას სხვადასხვა მოხმარების საგნებზე (ტიპებზე), ამ უკანასკნელთა დანახარჯს საკვებ პროდუქტებთან ერთად წარმოადგენს წამლები (16.2% და 22.1% შესაბამისად).

## რესპონდენტთა სულადობა და ხარჯები:

სულადობა/ ხარჯის ტიპი	1 სულიანი	%	2 სულიანი	%	3 სულიანი	%	4 სულიანი	%	5 სულიანი	%	6 სულიანი	%	7 სულიანი	%
საკვები	1	33.4	30	65.2	76	76	113	85	44	89.7	13	65	4	80
ტანსაცმელი	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
წამალი	2	66.6	16	34.8	3	19	18	13.6	4	8	4	20	1	20
სამედ. მომს- ბა	—	—	—	—	1	1	1	0.7	—	—	—	—	—	—
საწვავი	—	—	—	—	—	—	1	0.7	—	—	—	—	—	—
პირ. პიგ- საჟ-ბი	—	—	—	—	1	1	—	—	—	—	1	5	—	—
კომუნ. გადას-ბი	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
ტრანსპორტი	—	—	—	—	1	1	—	—	1	2.3	1	5	—	—
არ მაქეს პასუხი	—	—	—	—	1	1	—	—	—	—	—	—	—	—
განათლება	—	—	—	—	—	1	1	—	—	—	1	5	—	—
სულ	3		46		100		133		49		20		5	


ასევე საინტერესოა რესპონდენტთა თვითშეფასება ოჯახის მატერიალური მდგომარეობის მიმართ: თავს გაჭირვებულად არ გრძნობს რესპონდენტთა 7,3% (26/356); მეტ-ნაკლებად გაჭირვებულია — 53,6% (191/356); უკიდურესად გაჭირვებულად თავს გრძნობს 38,7% (138/356); პასუხის გაცემა გაუჭირდა მხოლოდ ერთ რესპონდენტს 0,4% (1/356).

ოჯახის მატერიალური სტატუსის თვითშეფასებასა და ოჯახების მიერ ბავშვის პიგიენურ საფენებთან გამოყენებას შორის კავშირი ასევე საინტერესოა, ბავშვის პიგიენურ საფენებს იყენებს 35 ოჯახი 9,8% (35/356), მაშინ როცა შეკითხვაზე “რაზე გეხარჯებათ ოქვენი შემოსავლის ძირითადი ნაწილი?” ჩამოთვლილი პასუხებიდან შესაბამის გასაცემ პასუხზე “პირ. პიგ-საჟ-ალებები; სხვა (დააკონკრეტეთ) პასუხი მხოლოდ გასცა მხოლოდ 2-მა რესპონდენტმა.

ზემოაღნიშნული 35 რესპონდენტიდან 5,8% (2/35) თავს არ გრძნობს გაჭირვებულად; 65,7% (23/35) მეტ-ნაკლებად გაჭირვებულად გრძნობს თავს და 10 კი — 28,5% (10/35) უკიდურესად გაჭირვებულად.


სასმელი წყლის ხარისხთან დაკავშირებულ პრობლემებს აღნიშნავს რესპონდენტთა 26% (93/356) ქერძოდ: 1. გემო – 74,2% (69/93); 2. სუნი – 2,2% (2/93); ფერი – 3,2% (3/93); 4. სიმღვრიე – 20,4% (19).

#### სასმელი წყლის ხარისხთან დაკავშირებული პრობლემები



სასმელი წყალი 24 სთ-იანი გრაფიკით მიეწოდება სოფ. წეროვანს, რის გამოც ისინი წყაროზე წყლის მოსატანად არ დადიან, რაც შეეხება კარალეთის რესპონდენტებს (191) მათვის სასმელი წყალი 24 სთ-იანი რეჟიმით მიწოდებას აღნიშნავს 47,6% (91/191), ასევე მათგან წყაროზე სიარული აღნიშნა 22,5%-მა (43/191). წყაროდან წყლის მოსატანად უფრო ხშირად დადიან ბაგშვები – 40% (17/43), ხოლო ქალები და მამაკაცები კი – 30%-ში (13/43) შესაბამისად. წყაროდან წყლის მოტანისათვის რესპონდენტებს საშუალოდ ესაჭიროებათ 13,5 წთ.


#### წყაროდან წყლის მოტანის დრო %



გამოკითხული რესპონდენტებიდან (356) ყველას გააჩნია ტუალეტი (ჩასარეცხვი) საკუთარ ბინაში.

რაც შეეხება პირადი ტუალეტს (რა სიხშირით ბანაობენ და სად?) ყოველდღე ბანაობა აღნიშნა რესპონდენტთა 10,5%-მა (37/356), კვირაში ერთხელ 14,8%-მა (53/356) და კვირაში რამოდენიმეჯვერ კი – 74,7% -მა (266/356).

### დეგნილთა პირადი ტუალეტის სიხშირე %



არის თუ არა სახლში პირადი ტუალეტის ერთ-ერთი მთავარი შემადგენელი ნაწილი (კერძოდ: საპონი) 97,8%-მა (348/356) უპასუხა დადებითად, 1,1%-მა (4/356) არ იცის და უარყოფითად უპასუხა რესპონდენტთა 1,1%-მა (4/356) მათგან 2 ბანაობს კვირაში რამოდენიმეჯვერ, 1 კვირაში ერთხელ და 1 ყოველდღე. აღნიშნული კითხვა ან მათ მიერ ვერ იქნა სწორად აღქმული ან შესაძლებელია კითხვის მომენტში მათ საპნის არქონა იგულისხმეს.

გამოკითხულ რესპონდენტებიდან (356) ყველა, საკვების მოსამზადებლადაც და გასათბობადაც, იყენებს ბუნებრივ აირს.

### საკვები პროდუქტების გამოყენების სიხშირე და სახეები


პროდუქტის მიღების სიხშირე/პროდუქტის სახეობა	ყოველდღე	ყოველ კვირა	თვეში 1-2-ჯერ	იშვიათად	არ ვიცი	სულ რესპ.
ხორცული	2 (0.8%)	35 (9.8%)	93 (26%)	198 (55.6%)	28 (7.8%)	356
რძის პროდუქტები	13 (3.7%)	81 (22.7%)	96 (27%)	152 (42.7%)	14 (3.9%)	
თვეზეული	2 (0.8%)	42 (11.8%)	99 (27.8%)	181 (50.8%)	32 (8.8%)	
კვერცხი	10 (2.8%)	225 (63.2%)	53 (14.8%)	60 (16.8%)	8 (2.4%)	
ხილი	22 (6.1%)	224 (62.9%)	46 (12.9%)	57 (16%)	7 (2.1%)	
ბოსტნეული	79 (22.2%)	214 (60.1%)	30 (8.4%)	30 (8.4%)	3 (0.9%)	
ტბილეული	18 (5%)	164 (46%)	73 (20.5%)	87 (24.4%)	14 (4.1%)	

თუმცა, ყოველდღიურად ზემოაღნიშნული პროდუქტების გამოყენება იშვიათია, მაგრამ ყოველკვირკველად შედარებით მაღალია კვერცხის, ხილის, ბოსტნეულისა და ტებილეულის გამოყენება.

სამედიცინო მუშაკთან კონსულტაციას აღნიშნავს რესპონდენტთა 28,9% (103/356), მათ შორის უფრო ხშირად ექიმს კონსულტირებისთვის მიმართავს 93,2% (96/103); ექთანს 1% (1/103) ფარმაცევტს 4,8% (5/103) და სხვას 1% (1/103). კონსულტირებისათვის ექიმთან მიმართული რესპონდენტებიდან (96) კმაყოფილი დარჩა მომსახურებით 92,7% (89/96), 7,3% (7/96) კი – უკმაყოფილო. დანარჩენ ჩამოთვლილ სპეციალისტებთან (ექთანი, ფარმაცევტი, სხვა) კონსულტირებისათვის მიართული ყველა რესპონდენტი (7) აღნიშნული მომსახურებით კმაყოფილი დარჩა.


რაც შეეხება რესპონდენტთა კმაყოფილებას სამედიცინო სამსახურების (კერძოდ საავადმყოფო) მიმართ აღსანიშნავია, რომ ბოლო 12 ოთვის განმავლობაში საავადმყოფოს მიმართა (მათ ან ოჯახის წევრმა) 23% -მა (82/356) და სამედიცინო მომსახურებით კმაყოფილი დარჩა – 78% (64/82) [მათგან : ნაწილობრივ კმაყოფილი – 19,5% (16/82); კმაყოფილი – 46,3% (38/82) და ძალიან კმაყოფილი 12,2% (10/82)], ხოლო 22% (18/82) კი – უკმაყოფილო.

#### **საავადმყოფოებში სამედიცინო მომსახურებით გამოხატული კმაყოფილება რესპონდენტთა (82) შორის %**



სამედიცინო მომსახურების გაწევისას, იძულებით გადაადგილებული პირთაგან დევნილთა შედაგათებით სარგებლობს რესპონდენტთა 58,7% (209/356), მათ შორის: მედიკამენტებით – 3,4% (7/209); პოლისით – 74,2% (155/209); უფასო სამედიცინო გამოკვლევებით – 20,5% (43/209).

**დევნილთა სამედიცინო მომსახურეობისას შედავათებით სარგებლობის  
სახეები %**



იმ რესპონდენთა შორის, რომლებიც დევნილთა შედავათებით სარგებლობენ (209), ქონიული დაავადებები აღენიშნებათ 53,3% (122/209) ხოლო 34,4% -ს (42/122) კი – 2 ან მეტ ქრონიკულ დაავადება.

ჩამოთვლილი დაავადებებიდან ყველაზე ხშირია:

1. არტერიული ჰიპერტენზია - 23%;
2. გულის უკმარისობა და გულსისხლძარღვთა დაავადებები – 15,4%;
3. ართრიტი – 8,8%;
4. დიაბეტი და ჩიუვი – 6% შესაბამისად;
5. ვეგეტონევროზი – 4,9%;
6. ოვალის დაავადება/კატარაქტა – 3,8%;
7. შარდსადენი გზების ინფექცია/ თირკმლის დაავ-ბი – 2,7%;
8. კუჭის წყლულოვანი დაავ-ბა, ნევრალგია, ოსტეოქონდროზი, ბრონქული ასთმა/ბრონქიტი, ინსულტი/ანევრიზმა, გასტრიტი და საჭმლის მომნელებელი სისტემის პათოლოგიები – 2,2%;
9. ღვიძლის ციროზი/ჰეპატიტი/ჰემანგიომა – 2%.

დანარჩენი დაავადები შედარებით ნაკლები სიხშირით აღინიშნება.

იმ რესპონდენთა შორის, რომლებიც დევნილთა შედავათებით არ სარგებლობენ (147), ქონიული დაავადებები აღენიშნებათ 56,4% (83/147) აქედან 35% -ს (29/83) კი – 2 ან მეტ ქრონიკული დაავადება.


ჩამოთვლილი დაავადებებიდან აღსანიშნავია შემდეგი დაავადებები:

1. არტერიული ჰიპერტენზია – 28,4%;
2. გულის უკმარისობა და გულსისხლძარღვთა დაავადებები – 11,4%;
3. ვეგეტონევროზი – 4,8%;

4. შარდსადენი გზების ინფექცია/თირკმლის დაავ-ბი და ჩიყვი – 4% შესაბამისად;
5. თვალის დაავადება/კატარაქტა – 3,2%;
6. ოსტეოქონდროზი და ყელ/ყურ/ცხვირის დაავ-ბი – 2,4% შესაბამისად.

დანარჩენი დაავადები კი შედარებით ნაკლები სიხშირით აღინიშნება.

#### **დეპნილთა შეღავათებით სარგებლობა და ქრონიკული დაავადებები %**




იმ რესპონდენთა შორის (209 – 58,7%), რომლებიც დეპნილთა შეღავათებით სარგებლობენ ბოლო 12 თვის განმავლობაში საავადმყოფოს მიმართა (მათ ან ოჯახის წევრმა) 25,3%-მა (53/209) შემდეგი დახმარებისათვის:

1. ქირურგიული ოპერაცია – 26,2%;
2. არტერიული პიპერტენზიის მკურნალობა – 9,4%;
3. ყელ/ყურ/ცხვირის დაავ-ბი – 7,5%;
4. ინტოქსიკაცია – 5,6%;
5. გულის უკმარისობა/გულსისხლძარღვთა დაავ-ბი, თვალის დაავ-ბა/კატარაქტა, ვირუსული ინფექცია, ქოლეცისტიტი, ბრონქიული ასთმა/ბრონქიტი, სხვა (მენისკი, დაჟეჟილობა, ტრავმა, მოტეხილობა, ტკივილი მუცლის დრუში, დისკის ამოვარდნა), საკვერცხის კისტა/ანოება/საშვილოსნოს ფიბრომა, მშობიარობა – 3,8% შესაბამისად;
6. ასციტი, ართრიტი, შარდსადენი გზების/თირკმლის დაავ-ბი, ნევრალგია, დიაბეტი, ვენური პრობლემები/ბუასილი, ონკოპათოლოგია, ნაღვლკენჭოვანი დააბ-ბა, პნევმონია, განგრენა, ალერგია – 1,9% შესაბამისად.

რესპონდენტებმა, რომლებიც შეღავათებით სარგებლობენ და მიმართეს საავადმყოფოს (53) სამედიცინო მომსახურებით კმაყოფილი დარჩა – 81% (43/53) [მათგან: ნაწილობრივ კმაყოფილი – 24,4% (13/53); კმაყოფილი – 43,3% (23/53) და ძალიან კმაყოფილი – 13,3% (7/53)]; უკმაყოფილოა – 13,3% (7/53), ხოლო პასუხი არ გასცა კითხვას – 5,7%-მა (3/53).

#### საავადმყოფოებში სამედიცინო მომსახურებით გამოხატული კმაყოფილება შეღავათებით მოსარგებლე რესპონდენტთა შორის %




დევნილთა შეღავათებით მოსარგებლე რესპონდენტები (209) უხშირესად ჯანმრთელობის პრობლემების გამო მიმართავს შემდეგ სამედიცინო დაწესებულებებს:

**შეღავათებით მოსარგებლე რესპონდენტების ჯანმრთელობის პრობლემების გამო მიმართვიანობა სამედიცინო დაწესებულებების ტიპების მიხედვით %**

სამედიცინო დაწესებულებები	რესპონდენტთა რაოდენობა	%
საავადმყოფო	64	30.6
ამბულატორია	28	13.4
სამედიცინო პუნქტი	51	24.4
კერძო ექიმი	5	2.4
აფთიაქი	59	28.2
სხვა	1	0.5
არ გასცა პასუხი	1	0.5
<b>სულ</b>	<b>209</b>	

**შეღავათებით მოსარგებლე რესპონდენტების ჯანმრთელობის პრობლემების გამო  
მიმარვიანობა სამედიცინო დაწესებულებების ტიპების მიხედვით %**



როგორც ცხრილიდან ჩანს საყურადღებო ის ფაქტი, რომ სამედიცინო დაწესებულებებში მიმართვიანობის მხივ მეორე აღგილზე დგას აფთიაქი – 28,2% (59/209) და უსწრებს ისეთ დაწესებულებებს, როგორიცაა სამედიცინო პუნქტი და ამბულატორია (24,4% და 13,4% შესაბამისად), რაც შესაძლებელია სხვადასხვა მიზეზებით იყოს გამოწვეული.

უკანასკნელი 1 წლის მანძილზე უფასო სამედიცინო მომსახურებით (ერთხელ და რამოდენიმეჯერ) ისარგებლა კარალეთის რესპონდენტთა 35,6%-მა (68/191) და წეროვანის რესპონდენტთა – 8,5%-მა (14/165). უფასო სამედიცინო გამოკვლევებს შორის მეტია სისხლის საერთო და სხვ. ანალიზები – 25%, ექოსკოპია – 20%, გარეგანი სამედიცინო გასინჯვა – 19,5%, კარდიოგრამა – 9,5% და ოფთალმოლოგიური გამოკვლევა – 6%.


#### **დევნილთა დამოკიდებულება მომავალთან დაკავშირებით:**

მომავლის ხედვასთან დაკავშირებით გამოკითხულ რესპონდენტთა 38,2%-მა (136/356) აღნიშნა რომ არსებული მდგომარეობა გაუმჯობესდება; არსებული მდგომარეობა იგივე დარჩება – 10,6% (38/356); არსებული მდგომარეობა გაუარესდება – 27,8% (99/356) და შეკითხვას არ გასცა პასუხი რესპონდენტთა თითქმის მეოთხედმა, კერძოდ – 23,4%-მა (83/356).

მომავლის ხედვასთან დაკავშირებით მდედრობითი და მამრობითი სქესის წარმომადგენლებს თითქმის ერთნაერი ხედვა აქვთ, კერძოდ:

სქესი /მომავლის ხედვა	მდედრობითი რაო	%	მამრობითი რაო	%
გაუმჯობესდება	92	38	44	38.3
იგივე დარჩება	22	9	16	13.9
გაუარესდება	65	27	34	29.5
არ გასცა პასუხი	62	26	21	18.3
<b>სულ</b>	<b>241</b>	<b>100</b>	<b>115</b>	<b>100</b>

მომავლის ხედვა %





არის თუ არა დასახლებაში პირველადი საჭიროების ობიექტები, როგორიცაა: სასურსათო მაღაზია, აფთიაქი, სამედიცინო კუნქტი, სკოლა, პოლიციის განყოფილება, საპარიკმახერო და გაზეთების ჯიხური რესპონდენტთა მიერ შემდეგი პასუხები იქნა გაცემული:

პირველადი საჭიროების ობიექტები	პარალეტი (191 რესპონდენტი)		წეროგანი (165 რესპონდენტი)	
	დიახ	არა	დიახ	არა
სასურსათო მაღაზია	165 (86.4%)	26 (13.6%)	143 (86.6%)	22 (13.4%)
აფთიაქი	37 (19.4%)	154 (80.6%)	128 (77.5%)	37 (22.5%)
სამედიცინო კუნქტი	28 (14.7%)	163 (85.3%)	128 (77.5%)	37 (22.5%)
სკოლა	28 (14.7%)	163 (85.3%)	128 (77.5%)	37 (22.5%)
პოლიციის განყბა	27 (14.2%)	164 (85.8%)	128 (77.5%)	37 (22.5%)
საპარიკმახერო	47 (24.6%)	144 (75.4%)	12 (7.3%)	153 (92.7%)
გაზეთების ჯიხური	23 (12%)	168 (88%)	0	165 (100%)


კარალეთში პირველადი საჭიროების პუნქტებიდან მხოლოდ სასურსათო მაღაზიაა, ხოლო სხვა დანიშნულების ობიექტების ნაკლოვანებას განიცდის რესპონდენტთა დიდი ნაწილი, მაშინ როცა წეროვანში ზემოაღნიშნული ობიექტების სიმრიცხვის მხოლოდ მცირე რაოდენობის რესპონდენტი უჩივის.

#### პირველადი საჭიროების ობიექტები კარალეთში %




ამჟამინდელ საცხოვრებელ ადგილზე თავს უსაფრთხოდ გრძნობს რესპონდენტთა – 60,6% (216/356) ; მეტ-ნაკლებად დაცულად – 34,2% (122/356) ; სრულიად დაუცველად – 3,6% (13/356) და პასუხი არ გასცა რესპონდენტთა 1,6%-მა (5/356).

#### **რესპონდენტთა დაცულობა ამჟამინდელ საცხოვრებელ ადგილზე %**



დევნილი რესპონდენტები ინფორმაციის მისაღებად უმეტესწილად იყენებენ ტელევიზიას – 96,9% (345/356); პრესას – 2,5% (9/356) და რადიოს – 0,6% (2/356). როგორც გამოკითხვიდან ჩანს მათ ინტერნეტით კავშირი არ გააჩნიათ და ამიტომაც ინფორმაციის მისაღებად პრიორიტეტს ტელევიზია წარმოადგენს.




დევნილთა საცხოვრებელი პირობები შემდეგნაერადა განაწილებული : კარალეთისა და წეროვანის რესპოდენტები ძირითადად აღნიშნავენ რომ მათ აქვთ სამ ოთახიანი ბინა, კარალეთის დევნილ რესპოდენტთა 59,7% (114/191) აღნიშნავს, რომ საცხოვრებელი ბინა 32 მ<sup>2</sup>-ია; 11,5% (22/191) – 35-45მ<sup>2</sup> და 28,8% (55/191) კი – 60მ<sup>2</sup>; წეროვანის დევნილ რესპონდენტთა საცხოვრებელი ბინა საშუალოდ 60მ<sup>2</sup> –ია.

მშენებლობის ხარისხს უჩივის კარალეთის რესპოდენტთა – 75,4% (144/191); დამაკმაყოფილებლად თვლის 23,5% (45/191) და მშენებლობის ხარისხს არ იწუნებს რესპოდენტთა 1,1% (2/191);

წეროვანის რესპოდენტთა 49,7% (82/165) უჩივის მშენებლობის ხარისხს, დამაკმაყოფილებლად თვლის 39,4% (65/165), ხარისხს არ იწუნებს 7,8% (13/165) და შეკითხვას არ უპასუხა რესპოდენტთა 3,1%-მა (5/165).

#### მშენებლობის ხარისხის შეფასება კარალეთისა და წეროვანის რესპოდენტთა შორის %



#### უკელაზე მეტი პრობლემა ამჟამინდელ საცხოვრებელ ბინებში არის:

1. ჭერის დაზიანება – (კარალეთი 25,5%; წეროვანი – 29,8%);
2. კედლების დეფექტი – (კარალეთი – 15,9%; წეროვანი – 24,4%);
3. აბანოში კანალიზაციის დეფექტი – (კარალეთი – 13,8%; წეროვანი – 22,3%);
4. კედლების დანესტიანება – (კარალეთი – 0,8%; წეროვანი – 9,3%);
5. აყრილი იატაკი – (კარალეთი – 18%; წეროვანი – 2,5%);
6. კარ-ფანჯრების დეფექტი – (კარალეთი – 3%; წეროვანი – 4,3%);

7. სხვა დეფექტები (კონკრეტიზაციის გარეშე) – (კარალეთი – 18,4%; წეროვანი – 7,4%);

ელექტროგაუვანილობის დეფექტებს (1,6%) და სათავსოს არქონას (3%) აღნიშნავს მხოლოდ კარალეთში მცხოვრები რესპონდენტები.

**მშენებლობის დეფექტების შეფასება კარალეთისა და წეროვანის რესპონდენტთა შორის %**

